საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA020147163155416

ქ. ბათუმი

№ 01/01/88 **31 / აგვისტო / 2016 წ.**

2016 წლის 27 იანვარს N13 სააგენტოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის რეცხვის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის #1-1/585 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა“ და შ.პ.ს. „ედბოჯორჯიას“ შორის 2016 წლის 27 იანვარს გაფორმებული N13 ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.1 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შ.პ.ს. „ედბოჯორჯიას“ მიერ 2016 წლის 27 იანვარს გაფორმებულ N13 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებასთან დაკავშირებით, ვადამდე შეწყდეს სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა“ და შ.პ.ს. „ედბოჯორჯიას“ შორის 2016 წლის 27 იანვარს გაფორმებული N13 ხელშეკრულება.
2. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ფინანსებისა და შესყიდვების სამმართველოს თანმდევი ღონისძიებების განხორციელება.
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სააგენტოს დირექტორის მოადგილეს - ვახტანგ მიქელაიშვილს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორი მამუკა ახალაძე